მეცნიერებისა და რელიგიის კულტურული ღირებულებები და „ინდივიდუალური მეტაფიზიკის გზა“ თავისუფლებამდე

ნანა გაბადაძე
დამოუკიდებელი მკვლევარი
ქუთაისი, საქართველო
E-e- gabadadze07@gmail.com
https://doi.org/10.52340/lac.2026.11.05

ხორხე ლუის ბორხესის განმარტებით სამყარო შედგება უამრავი წერტილისაგან, სიბრტყისა და დაუსრულებელი ხაზებისაგან, რომელიც ადამიანის „ცხოვრებისეული ტექსტის“ მეტაფორული გადააზრებაა. ზუსტად ამ მრავალრიცხოვანი კონტინიუმიდან იქმნება ხაზობრივი ელემენტების დაჯგუფება და ნარატიული ტექსტის შექმნა, რა თქმა უნდა, ავტორის ენერგიის წყალობით.

„სულის ტაძარი“, - რელიგია, „სულის სამყარო“ - ენა, რელიგიისა და მეცნიერების, ჩვენს შემთხვევაში, ლინგვისტიკის უტყუარი საზომია, მათი იდენტიფიკაციის ნუსხაა, ადამიანის ღვთიურობისკენ სწრაფვის მცდელობაა მეცნიერული ფუნდამენტალიზმის ბაზაზე, სამყაროს გასულიერებაა ენის მეშვეობით.

რაც შეეხება სივრცის, დროის, ქმედებისა და კულტურული ღირებულებების გადააზრებას, რელიგიისა და მეცნიერების პარადიგმაში, ის საკმაოდ რთული პროცესია.

სივრცეს, დროსა და ქმედება/მოძრაობას, ლინგვისტები, ნებისმიერი ადამიანის „ცხოვრებისეული დროის“ ჭრილში განიხილავენ. Lived time, - გასაოცარი ფენომენია, რომელშიც ადამიანის ამქვეყნად ყოფნა-ყოფიერება მოიაზრება ნებისმიერი პიროვნების „ცხოვრებისეული ჯვარცმის“ ახლებური გადააზრებით, ადამიანის თვითშეფასების შკალის ძიებით, რელიგიასა და მეცნიერებას შორის ხატობრიობის მოძიებით, XXI საუკუნის ახალი დროის მეცნიერების საინტერესო აღქმითობით, ჩვენი „ურწმუნო დროის“ შემეცნებით რწმენით გაჯერებულ სამყაროში. ლინგვისტიკა ეს ენის შესწავლაა, ენისადმი მეცნიერული მიდგომაა, მაგრამ ჩვენ ბოლომდ არც კი ვიცით რა არის ენა და ამიტომაც, ჩვენთვის უცნობია ლინგვისტიკის საგანი, - „სულის სახლი“, „სულის სამყარო“, ე.ი. ენა (მ. ჰაიდეგერი), როგორც „შემოქმედებითი აქტი“ [უ. ეკო] საშუალებას არ გვაძლევს დავრჩეთ ერთი მეცნიერების საზღვრებში. აქ, ლინგვისტიკის

ზუსტ მეცნიერებებთან და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებთან, მეტაფიზიკასთანაც კი კავშირს მოვიაზრებთ. „ინფორმაცია, რომელიც ურიცხვი მოცემულობებითაა წარმოდგენილი, აუცილებლად უნდა შევამოწმოთ, გავასულიეროთ, ვაქციოთ კანონებად, კონცეფციებად, იდეებად, რომელიც სამყაროს კეთილდღეობას უნდა მსახურებდეს [1; გვ. 11].

სამყაროს შეცნობადობა უდავოდ მოიაზრებს მეცნიერებისა და რელიგიის განსხვავებულობის პრინციპს. მეცნიერებისათვის ობიექტი არის რთული, იერარქიული სისტემა, ადამიანი - ბუნება, სადაც ორი უდიდესი საწყისი ურთიერთკვეთს ერთმანეთს. ესენია: სუბიექტი (ადამიანი) და ობიექტი (შემოქმედი) - ბუნება.

რელიგიისათვის შეცნობის ობიექტი არის ადამიანი, ღვთიურობის, სულიერების დაუსრულებელი კონტინიუმი. ადამიანის სული გრძნობისა და აზრობრიობის უდიდეს თანხვედრას მოიაზრებს. ეს ფსიქიკური ევოლუციის პროდუქტია, რომელიც დინამიური, დაუსრულებელი და ცვალებადია. აქ, რა თქმა უნდა, ვითვალისწინებთ: 1) გონებრივი და მგრძნობელობითი სფეროს სრულყოფილებას; 2) აზრის განზოგადებით სფეროს; 3) ფსიქიკური მოვლენების სინთეზს, რომელიც გრძნობით სფეროსაც მოიაზრებს და გარკვეული შეფერადობითაც ხასიათდება.

აზრობრიობაში არავითარი გრძნობითი გამოვლინება არ გვხვდება. აქ, ასოციაციების წყებები ბატონობს, რომლებიც ძალზედ დაკავშირებულები არიან წარმოდგენასთან და მისგან განცალკევებით არც მოიაზრებიან. აქ უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოებაც, რომ ცნებადობაში შედის მხოლოდ შემეცნება, ხოლო გრძნობითი სპექტრის გადააზრება მხოლოდ აზრობრიობაშია შესაძლებელი. ეს ყოველივე ურთულესი გადააზრებითი პროცესის ნაწილია, სადაც გრძნობითი შეფერილობა აზრის განზოგადებასთან ერთად, სინდისთან გატოლების ტოლფასია. აი, ზუსტად აქ, მეცნიერება და რელიგია უდიდეს თანხვედრაში არიან ერთმანეთთან. სპინოზას უდიდესი უტოპიური გამონათქვამი: „ნუ გასწირავთ, შეეცადეთ შეიცნოთ, გაუგოთ“, რელიგიისა და მეცნიერების სწრაფვას მოიაზრებს სულიერებისაკენ, სინდისისაკენ, ფიქრისკენ, არსებულის გადააზრებისაკენ, შეცნობილის კვლავ შეცნობადობისაკენ, სადაც, რა თქმა უნდა, ზნეობრივ შეცნობადობასაც მოვიაზრებთ“ [2; გვ. 3].

მეცნიერებისა და რელიგიის შემდეგი განსხვავებულობა საგნის შეცნობადობას მსახურებს. მეცნიერებისათვის საგანი ეს სივრცულ-დროითი ემპირიული სამყაროა, რელიგიისთვის კი სულიერებაა, შეუცნობია, ღვთიური სიდიადით განსპეტაკებული.

რელიგია ჭეშმარიტების, ჭეშმარიტი ცოდნის მატარებელია, რომელიც მტკიცებულებებს არ მოითხოვს. მეცნიერული ცოდნა კი ყოველთვის არაა ჭეშმარიტი. ის სინამდვილის, მოვლენებისა და პროცესის აღწერაა, ახსნა და წინასწარხედვაა, რაც ნიშნავს სინამდვილის თეორიულ ახსნას

მეცნიერების მიერ აღმოჩენილი კანონებით, რომელთა ღირებულებითი სფერო ფასდაუდებელია კაცობრიობისათვის.

მეცნიერული აღმოჩენები ახალი ქსოვილია, რომელიც ძველი ციტატებისაგან შედგება. კულტურული კოდის ნამსხვრევები, ფორმულები, რიტმული სტრუქტურები, სოციალური იდიომები და ა.შ. გაბატონებული მეცნიერულ ფორმებში. ეს ყველაფერი კი შთაინთქმება სამყარო-ტექსტის მიერ და გადატანილია მასში იმიტომ, რომ ტექსტამდე და ტექსტის ირგვლივ არსებობს ენა, როგორც აუცილებელი პირობა ტექსტის არსებობისა, როგორც აზრობრივი და ასოციაციური ველის შექმნის ფაქტორი სამყარო -ტექსტი - კულტურა - ადამიანი. მეცნიერება - რელიგია შეიძლება წარმოადგენდეს ანონიმური ფორმულების შექმნის ველსაც, რომლის წარმოშობაში შეიძლება აღმოვაჩინოთ შეუცნობი [3; გვ. 40].

რაც შეეხება რელიგიისა და მეცნიერების მიზნობრივი დასაბუთებულობას (მესამე განსხვავებულობა), რელიგიის მიზანია ადამიანი - სამყარო საკუთარი სულიერების ნაწილად აქციოს მისი ღმერთთან გაიგივებით, მარადიული სიცოცხლის საწყისი გახადოს სულიერების სიდიადე, გაღვთისკაცებას შეასხას ჭეშმარიტების საბურველი.

მეცნიერებისათვის, როგორც ფ. ბეკონი განმარტავს, მთავარია მეცნიერული ცოდნა, „ცოდნა - ძალაა!“ - ბრძანებს რასელი, მაგრამ ეს უკანასკნელი მარადიულ სიცოცხლეს არ წინასწარმეტყველებს.

რელიგიას აქვს მყარი მორალური წესები, ჩვეულებები, მარადიულობის ფასდაუდებელი იდეები. ღმერთი თვითშემეცნების, თვითდამკვიდრების, მუდმივი ძიების, სიკეთისადმი სწრაფვის აბსოლუტივია [4; გვ. 23].

ყოველთვის, როდესაც ვცდილობთ სრულყოფილებისაკენ მივილტვოდეთ, ნებისმიერი ადამიანი თავისი თავის დამკვიდრებას ცდილობს დროსა და სივრცეში. „აქ“ ის სამყაროდან, რომელიც გარეთ იმყოფება, თავის საკუთარ ცნობიერებაში მიმართულებით ლაპარაკობს. „ახლა“ კი ის ლაპარაკობს დროთა საწყისსა და მათ ბოლოს შორის შუალედში. აქ, ჩვენ ყოველივე ეს შეგვიძლია შევადაროთ იუ.მ. ლოტმანის იდეას: „დროში ადამიანი - ტექსტი აღიქმება, როგორც თავისებური სტოპ-კადრი, ხელოვნურად შეფერხებული მომენტი წარსულსა და მომავალს შორის. წარსულისა და მომავლის დამოკიდებულება არ არის სიმეტრიული წარსული მისი ორი გამოვლინებით მოგვეცემა: შინაგანად - ტექსტის უშუალო მეხსიერებით, რომელიც მის შინაგან სტრუქტურაში, მის გარდაუვალი წინააღმდეგობაში, მის შინაგან სინქრონიზმთან იმანენტურ ბრძოლაშია განსახიერებული და გარედან - როგორც შეფარდება ტექსტგარეშე მეხსიერებასთან [5; გვ. 202].

საკუთარი თავის გამოხატვის ყველა იდეა რელიგიასა და მეცნიერებაში ენის არსებობას, ურთიერთპატივისცემას, მეცნიერული თეორიისადმი სიღრმისეული კვლევას მოიაზრებს. ენა არ

არის შეტანილი ყოფიერებაში - სხვისთვის (I etre – pour - autrui), ის თავდაპირველადვე არის თავად ყოფიერება სხვისთვის.

ენა არ შეიძლება იყოს „გამოგონილი“ სუფთა ობიექტების სამყაროში, ვინაიდან ის ვარაუდობს სხვა სუბიექტებისადმი, თუ პიროვნებათა ჯგუფისადმი დამოკიდებულებას, „სხვისი“ არსებობის აღმოჩენას ჩემს გამოცდილებაში. სწორედ „სხვისი“ არსებობის წყალობით ადამიანს შეუძლია გამოიტანოს დასკვნა თავის თავზე, როგორც ობიექტის შესახებ ცნობადობაზე, რელიგიას აქვს მყარი მორალები, წესები, ჩვეულებები, მარადიულობის ფასდაუდებელი იდეები. რელიგია ეს მუდმივი ღმერთის ძიებაა მოაზროვნე ადამიანში, ეს პიროვნების თვითშემეცნების, თვითდამკვიდრების პროცესია, ხოლო მეცნიერული ცოდნა უდიდესი ღვაწლია, თანამედროვე კვლევა-ძიებაა უკეთესი მომავლისადმი, კომუნიკაციური იდეალის ექსპერიმენტალური კვლვაა, სინერგეტიკაა, ეს „სულიერი ტაძრის ძიებაა“, რელიგიურობა თვით მეცნიერებაშიც კი, სადაც ენა სულია, სწრაფვაა სრულყოფისაკენ და ღვთიურობისკენ, სიტყვის ღვთაებრიობის იდეაა. „თავდაპირველად იყო სიტყვა და სიტყვა იყო ღმერთთან, და სიტყვა იყო ღმერთი [6; გვ. 1].

სიტყვისა და ქმედების სინთეზი მეცნიერებისათვის ფასდაუდებელი საუნჯეა, რელიგიური და ეროვნული გრძნობების, სიწმინდის, ეკლესიის უკვდავების იდეაა.

რაც შეეხება საკუთარი თავისადმი დამოკიდებულებას, ე.წ. თვითშემეცნების საკითხს რელიგიასა და მეცნიერებაში, ისწავლო, შეიცნო საკუთარი თავი - ეს იგივე არ არის, ისწავლო ენები, ტექნოლოგიები და მეცნიერებები, ფსიქოლოგიის სფეროში საკუთარი თავის შესწავლა ახლანდელ დროში მიმდინარეობს, ცოდნა კი ყოველთვის წარსულის გამუდმებით სწავლით ხდება ყოველ წუთს, მოსმენით, დაკვირვებით და მოქმედებით, ბევრი ექსპერიმენტით, ცდით. აი, ზუსტად, მაშინ აღმოვაჩენთ, რომ სწავლა არის მუდმივი მოძრაობა წარსულის გარეშე, მაგრამ ამ უკანასკნელის გათვალისწინებით, დამოუკიდებლად, ინდივიდუალურად [7; გვ. 2].

დეკარტის აზრით, ადამიანი არა მხოლოდ საგანია, არამედ მოაზროვნე არსებაა, ყოფიერების მიზეზობრივ-შედეგობრივი ჯაჭვის რგოლია, ინდივიდუალური, ღვთის მადლია, ადამიანის ამქვეყნად მოვლენის აქტია თავისი სულიერებით, დაუსრულებელი მოძრაობის წყურვილით, სულიერების განცდით.

ეს ყოველივე „ინდივიდუალური მეტაფიზიკის გზა!“ - ბრძანა მერაბ მამარდაშვილმა. პრუსტის ადამიანის უკვდავების ცნებას მან სულის უკვდავების ცნებადობა მიამატა და თავისუფლებისაკენ სწრაფვა დაამატა ადამიანის თავის უფალთან გატოლების იდეას [8; გვ. 20].

„დაიცავი თავისუფლება და ჭეშმარიტება მაშინაც კი, თუ მარტო ხარ!“ - ბრძანებს უფალი (წმ. ნიკოლოზი. სინერგეტიკა „ეს ჩვენი სულიერი ტაძრის ძიებაა, რელიგიურობაა, ღვთიურობის გზაა თვით მეცნიერებაშიდაც კი. ეს ერთგვარი „მეტათემებად“ მეცნიერული თეორიების დაყოფადობაა, ჩვენი, ადამიანების „ინდივიდუალური გზაა“ თავისუფლებამდე.

საკვანძო სიტყვები: მეცნიერება, რელიგია, კულტურული ღირებულებები, მეტაფიზიკა, თავისუფლება

ლიტერატურა:

1. Дубнищева, Собрание сочинений, М. 1994.

2. Овсянико-Куликовский Д.Н., Собрание сочинений, Т. VI ;

3. Розеншток-Хюсси О., Речь и действительность, М. 1994;

4. Красных В.В., В свете лингво-когнитивного подхода//функциональное исследование, М. 1997;

5. Лотман Ю.М., Культура и взрыв, М. 1992;

6. იოანეს სახარება, თბ. 2020 წ.

7. ჯიდე კრიშნამერტი - თავისუფლება ცნობილისაგან, I ტ.

8. მერაბ მამარდაშვილი, „გზის ფსიქოლოგიური ტოპოლოგია“, თბ. 2025 წ.

Nana Gabadadze
Independent researcher
Kutaisi, Georgia
E-e- gabadadze07@gmail.com
https://doi.org/10.52340/lac.2026.11.05

Cultural Values of Science and Religion and the "Path of Individual Metaphysics" to Freedom

Abstract

Science and religion are considered along with cultural values of any nation.

Culture is a unity of sign systems through which humanity, or else, a separate people, expresses its integrity, takes care of its values and a complex interpretive system of a particular person's worldview.

Society has preserved its historical memory and national-ethnic, tribal self-awareness for centuries.

The metalanguage of culture determines the peculiarities of a particular person's modality, promotes the complex reinterpretation of religion and science, and the emergence of individual codes. Each of us "reads" the text of life, becoming part of the world view, which implies the synharmony of science and religion.

Synergetics is "the search for a spiritual temple", religiosity is the path to divinity. Even in science itself is a kind of division of scientific theories into "metathemes".

Keywords: Science, religion, cultural values,freedom